PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ალინა კუპრავა **წევრები:** გიორგი დათუკიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია''
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ვიზიტის მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 04/06/2020 N436190 ბრძანების საფუძველზე სსიპ - კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 15 ივნისს;

- დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
- გაცნობითი შეხვედრა და გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან ;
- საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა)/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის;

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის დროს გამოვლენილი რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა და ადგილზე აღმოფხვრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2020 წლის 25 მაისის N116 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის N3 მისამართზე მოდულური მიდგომით 84

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	155

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■	□	□	□
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მისიაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენების ხელშეწყობა. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ქსელის ადმინისტრირების“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეყრდნობა IT მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის არსებობას, შეესაბამება კოლეჯის მისიას - ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში კადრების მომზადების შესახებ და გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და სამოქმედო ერთწლიანი გეგმის (2020 წ) გეგმებიდან - მიზანი N1 პროგრამების შემუშავება და განვითარება, რომლის ერთერთი შესრულების ინდიკატორია პროგრამის დამატება, აღნიშნული აქტივობის პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო თანამონაწილეები არიან პროგრამის ხელმძღვანელი და თანაგანმახორციელებლები, აღნიშნულ პროცესს მეთოდოლოგიურ კონსულტაციას უწევს სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N1097 ბრძანების ("პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ") საფუძველზე გაუქმდა „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის" ჩარჩო დოკუმენტი და მის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019 წლის 31 დეკემბრიდან მიღება არ განხორციელებულა. თუმცა პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება მიმდინარეობს, რომელთაც კვალიფიკაცია მიენიჭებათ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელზეც მოხდა მათი ჩარიცხვა. ზემოხსენებული პროგრამების მოდიფიცირების საფუძველზე, სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით (შესული ცვლილებებიდან ბოლო თარიღდება 2019 წლის 25 სექტემბრით - ბრძანება N882/ი) დამტკიცებული ინფორმაციის ტექნოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს სამ სხვადასხვა კვალიფიკაციას, რომელთაგან ორზე მოპოვებული აქვს კოლეჯს ავტორიზაცია, ხოლო მესამე წარმადგენს ზემოთხსენებული „კომპიუტერული ქსელი ადმინისტრატორის“ ალტერნატივას, რომელსაც ახორციელებს მილევად რეჟიმში და საზოგადოების მხრიდან სარგებლობს დიდი მოთხოვნით. კოლეჯი 2007 წლიდან დღემდე, წარმატებით ახორციელებს IT პროგრამებს (მათ შორის კომპიუტერული ქსელის მიმართულებით).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნასთან, წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმების შეჯერებით, გამოანგარიშებულია „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა, რაც პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან ერთად ასახულია პროგრამის დამტკიცების საფუძველში;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის კრიტერიუმის მონაცემები, „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გამოანგარიშების შედეგად, ასეთია:

- **შესაბამის აუდიტორიებში სამუშაო ადგილების რაოდენობა** - 84;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- **განმახორციელებელი ადამიანური რესურსი - 18;**
- **საზოგადოების ინტერესი** - მომართვიანობა წლების განმავლობაში განხორციელებულ მიღებებზე ზემოთხსენებული პროგრამა გამოირჩეოდა დარეგისტრირებული აპლიკანტების მაღალი მაჩვენებლით. სტატისტიკა ბოლო მიღებებზე 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებებზე შემდეგნაირია:
- 2018 წლის საგაზაფხულო მიღება - 280;
- 2018 წლის საშემოდგომო მიღება - 184;
- **პარტნიორი კომპანიის/კომპანიების მზაობა და** სიმძლავრე - 85:
- შპს. ბეტა - 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს სქაი ჰაი - 35 პროფესიული სტუდენტი;
- შპს cloud9 - 20 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამის გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამის შემადგენელი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო რესურსის ჩანაწერები შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსებს. ასევე დარგის სპეციფიკის გათვალიწინებით მოიცავს ინგლისურენოვან წყაროს, რომელიც სასწავლო პროცესში მუშავდება მოდულის „დარგობრივი ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები“ ფარგლებში.

„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამა მოიცავს 6 საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ, არჩევით მოდულს, რომლებიც ავსებენ და სრულყოფენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“პროგრამის მოდულში IT პროექტების მენეჯმენტი სასწავლო ლიტერატურად მითითებული იყო სხვა სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის გათვალისინებული სასწავლო მასალა, რომელიც არ იყო შესაბამისობაში აღნიშნული მოდულის თემატიკის, ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და ვიზიტის დღეს დაწესებულების მიერ დადგენილი წესების დაცვით პროგრამის შესაბამის დანართში შევიდა ცვლილება 2020 წლის 15 ივნისის დირექტორის N129 ბრძანებით , აღნიშნულ მოდულში ლიტერატურა ჩანაცვლდა სხვა ლიტერატურით, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით.

პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სახელწოდებასთან/კვალიფიკაციასთან და ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებს.

„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა(იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 125 კრედიტი, იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 155 კრედიტი), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა,ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.*
- *ვებგვერდზე განთავსებული მისია და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.*
- *კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2020 წ.*
- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N116 ბრძანებით დამტკიცებული „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამა.*
- *პროგრამის დამტკიცების შესახებ აქტის საფუძველი დოკუმენტი - სამსახურებრივი ბარათი - 406717;*
- *http://www.itvet.ge/*
- *გასაუბრების შედეგებით;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს საკუთრებაში აქვს „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც განთავსებულია შესაბამის აუდიტორიებში და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალური რესურსების ჩამონათვალს, პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით უზრუნველყოფილია „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის განხორციელება.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის განხორციელებას 3 აუდოტორიაში, კერძოდ:

1. B/C გარემო – 18 პროფესიული სტუდენტის ადგილი; 2. B/C გარემო # - 16 პროფესიული სტუდენტის ადგილი; 3. B/C გარემო - 15 პროფესიული სტუდენტის ადგილი, პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს სიმულაციური გარემო B/C , რომლებიც სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რომელთა ორცვლიანი დატვირთვით გამოყენება, პარტნიორი კომპანიის/კომპანიების მზაობა და სიმძლავრე - 85, პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 84 პროფესიული სტუდენტის მიღებას და სასწავლო პროცესში მათ ჩართვას შეუფერხებლად.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების, მათი დანიშვნის აქტების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამის განმახორციელებლების ჯამური რაოდენობაა 18, აქედან 8 პროფესიული მოდულების მასწავლებელი. „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამისთვის განსაზღვულ განმახორციელებლებს გააჩნიათ სწავლების და შეფასების უნარები და გამოცდილება. მათი პირადი საქმის შემადგენელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დიპლომები/სერთიფიკატები/ცნობები სამუშაო ადგილიდან ადასტურებს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას, დოკუმენტებით და გასაუბრების შედეგებით ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ როგორც შიდა - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმეგებლი პირის მიერ ჩატარებული ტრენინგები, ასევე მასწვლებლთა პროფესიული განვითარების ერვონული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგებიც ციკლი. „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამას ჰყავს სფეროში გამოცდილი, კვალიფიცირებული ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები., სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებლების დატვირთვა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ნაწილი საკითხები და ნაწილი დარეგულირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში, ეს ყველაფერი გათვლისწინებულია მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში, რაც კვირაში 40 საათს არ აღემატება.

“კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციაა:

- შესაბამისი პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა - მატერიალური რესურსის განსაზღვრა, სასწავლო გეგმის სტრუქტურის აგება;
- შესაბამისი პროგრამის განახლებაში მონაწილეობა - საჭირო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ცვლილების ინიცირება და გავრცელება;
- პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებლებისთვის საჭირო მასალა/ნედლეულის მოთხოვნისა და მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შედგენაში, კონსულტაციის გაწევა;
- მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორისთვის განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასებისთვის პრაქტიკული დავალებების გაზიარება ან/და მომზადებაში რჩევების მიცემა;
- პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა.

“კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამის შემადგენელი მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ნებისმიერი აუდიტორიის ნებისმიერი კომპიუტერიდან, ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებიდან და ბიბლიოთეკაში დაცული CD/DVD დისკებიდან, რომელთა მოხმარება დარეგულირებულია „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“. „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“ დარეგულირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების მიერ დამატებითი დახმარების გაწევა საბიბლიოთეკო მასალებით სარგებლობასთან დაკავშირებით, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელს განსაზღვრული აქვს საჭიროების შეთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქცია.

სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისრირების ხარჯს,პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, სასწავლო ხარჯს, ადამიანური და სხვა ხარჯებს(დასუფთავება და ა.შ). პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის ბალანსზე არსებული აღჭურვილობა.*
- *ბიბლიოთეკის ფონდით ;*
- *კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმები: (შპს „ბეტა", შპს „სქაი ჰაი", შპს „cloud9");*
- *განმახორციელებლების პირადი საქმე.*
- *ტრენინგების გავლის შესახებ ცნობები/დასწრების ფურცლები.*
- *პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*
- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N96 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი".*
- *http://www.itvet.ge/*
- *გასაუბრების შედეგებით;*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“ მოიაზრებს პროგრამის შეფასებას დაინტერესებული პირების გამოკითხვის/ინფორმაციის გამოთხოვის გზით. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მოპოვების მიზნით კითხვარების შემუშავებას/განახლებას და დამტკიცებას, გამოკითხვების ორგანიზებას, შედეგების დამუშავებას, მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და რეკომენდაციების გაცემას. ასევე ჯგუფი შეიმუშავებს სალექციო და შეფასების პროცესზე დასწრების ფორმებს. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ცენტრთან პროგრამაში/მოდულში აღმოჩენილ უზუსტობების გასწორების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, საქმიანობის სფეროს ფარგლებში, ხელმძღვანელობს დაგეგმე- განახორციელე-შეაფასე-განავითარე ციკლის მოდელით:

დაგეგმვა – განსაზღვრავს ხარისხის მართვის სისტემას - უზრუნველყოფს მექანიზმების დანერგვის დაგეგმვას:

- ადგენს და შეხვედრის ოქმით ამტკიცებს სამუშაო გეგმას, საჭიროების შემთხვევაში ახდენს კორექტირებას;
- განსაზღვრავს რისკებს და გეგმავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესს, დგენს/აახლებს შესაბამის ჩეკლისტებს;
- შეიმუშავებს/აახლებს და ამტკიცებს კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების დანართის ფორმებს;
- შეიმუშავებს/აახლებს და ამტკიცებს სალექციო პროცესზე დასწრების ფორმებს;
- შეიმუშავებს/აახლებს და ამტკიცებს სტუდენტების/მსმენელების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების კითხვარებს პროგრამების განვითარების მიზნებისთვის;
- განსაზღვრავს სპეციალური სივრცის KEEPIT ქვესივრცეებს და მათი გამოყენების მექანიზმებს.

განხორციელება – ნერგავს ხარისხის მართვის სისტემას - ხელს უწყობს მექანიზმების ამოქმედებას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- უზრუნველყოფს შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობას ხარისხის მართვის სისტემით განსაზღვრულ ღონისძიებებში;
- კოორდინაციას უწევს/ატარებს გამოკითხვების ჩატარებას, მოიძიებს/გამოითხოვს საჭირო ინფორმაციას
- პროგრამის განვითრების მიზნებისთვის;
- ატარებს ან/და უზრუნველყოფს შიდა ტრენინგების ჩატარებას;
- ამზადებს/აახლებს პროფესიული განათლების მასწავლებლის გზამკვლევ/ებ/ს;
- მართავს KEEPIT სივრცეს და უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

შემოწმება – მონიტორინგს უკეთებს პროცედურების დაცვით პროცესების წარმართვას და დამდგარ შედეგებს:

- ესწრება სალექციო პროცესს;
- უზრუნველყოფს მოგროვებული ინფორმაციის ფარგლებში იდენტიფიცირებული მონაცემების დამუშავებას;
- ამუშავებს გამოკითხვის შედეგებს;
- წარმართავს ვერიფიკაციის პროცესს შესაბამისი წევრების ჩართულობით და უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას საჭიროების შემთხვევაში დამატებითი წევრის მოწვევის საფუძველზე.

განვითარება – შეიმუშავებს გაუმჯობესების მექანიზმებს:

- ამუშავებს სალექციო პროცესის მონიტორინგის შედეგებს და დაინტერესებულს პირებს აწვდის უკუკავშირს;
- ანალიზს უკვეთებს გამოკითხვის შედეგებს და დაინტერესებულს პირებს აწვდის უკუკავშირს;
- გეგმავს მაკორექტირებელი ღონისძიებებს და უზრუნველყოფს რეკომენდაციების შემუშავებას, მათ შორის განსაზღვრავს შეხვედრების/ტრენინგების საჭიროებას და ავლენს საუკეთესო პრაქტიკას;
- უზრუნველყოფს შესაბამის აქტივობებში საჭირო თანამშრომლების ჩართულობას;
- ამზადებს სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიშს.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ყველა წევრი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოვალეობები, რისთვისაც ჯგუფი თავის საქმიანობის ფარგლებში ადგენს სამუშაო გეგმას, ახორციელებს შეხვედრების დოკუმენტირებას არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, წლის დასასრულს საბოლოო ანგარიშს შესაბამისი რეკომენდაციებით წარუდგენს დირექტორს.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლი აღწერს პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურას. მუხლში განსაზღვრულია პროგრამის როგორც შემუშავებაზე, ასევე წარდგენასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირები.

პროგრამაში ცვლილების შეტანა მისი განვითარების ან/და ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით შესაძლებელია როგორც განხორციელების ეტაპზე, ასევე დასრულების შემდეგ. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს. პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირების უფლებამოსილება აქვს ნებისმიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაინტერესებულ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით, სამსახურებრივი ფოსტით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელს პირს ელექტრონული ფოსტის მისამართზე quality@itvet.ge. დაინტერესებული პირი შესაძლებელია იყოს: პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებაში ან შეფასებაში ჩართული პირი.

ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა განიხილება პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობით, რომელიც საჭიროებისამებრ, წარიმართება სამსახურებრივი ფოსტის გამოყენებით. პროგრამაში ცვლილების შეტანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.*
- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 მაისის N110 ბრანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“.*
- *კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 28 ივლისის N 26 ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შემადგენლობაში ბრძანება N106- 19.05.2020);*
- *ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ 2020 წლის 25 მაისის დისტანციური შეხვედრით - ოქმი N3;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაფასებლად ჩატარებული პროფესიული სტუდენტის გამოკიხვის შედეგები 2019 წ;*
- *დამტკიცებული კითხვარები;*
- *http://www.itvet.ge/*
- *გასაუბრების შედეგებით;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
"კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია მოდულების წინაპირობების დაცვით და ითვალისწინებს დამატებითი შეფასების პერიოდს. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა მერყეობს 32 დან 40 საათს შორის.
"კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ორ ცვლაში სწავლების რეჟიმში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე- 19 მუხლით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებები ითვალისწინებს ცვლის არჩევის შესაძლებლობას. პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია გაცდენების თვითმონიტორინგის სისტემა - ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სალექციო განრიგის ფორმას შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მენეჯერი. სალექციო განრიგის ფორმა არ მტკიცდება. სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი სალექციო განრიგი იწარმოება ელექტრონულად სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ და იბეჭდება კვარტალურად, რომელიც ინახება სასწავლო პროცესის კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე. კალენდარული გეგმის ფორმას შეიმუშავებს და შეხვედრის ოქმით ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი. მასწავლებლების მიერ შედგენილი და KEEPIT სივრცის შესაბამის საქაღალდეში განთავსებული კალენდარული გეგმები იწარმოება ელექტრონულად და ინახება პროგრამის დასრულების ვადით.

"კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უნარი და სწავლებას ახორციელებენ იმ მიდგომებითა და ფორმატით, რომელიც შესაბამისია პროგრამის სპეციფიკისთვის. პარტნიორი კომპანიები კი წარმოადგენენ დარგში ახალი ტექნოლოგიების დანრეგვაზე ორიენტირებულ დაწესებულებებს. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-5 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევები. "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის ფარგლებში შერჩეული პარტნიორი კომპანიების სპეციფიკა, გამოცდილება და მზაობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით დარეგულირებულია ყველა არსებითი საკითხი პრაქტიკული კომპონენტისპარტნიორების ბაზაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




PDF Eraser Free

განხორციელებისთვის: თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა, მატერიალურ- ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება.

საწარმოო პრაქტიკის კომპანიის დირექტორთან შედგა ონლაინ ინტერვიუ. კომპანია **Cloud9** პროფესიონალი ვებ ჰოსტინგ პროვაიდერი და დატაცენტრის გამოცდილი ოპერატორია. კომპანიის ისტორია 2014 წლიდან იწყება. **Cloud9** დააარსეს IT ინდუსტრიის ლიდერმა კომპანიებმა - **ITDC** და **Expert Solutions Georgia** - პროფესიონალებისგან შემდგარმა გუნდმა, რომელსაც ქართულ და უცხოურ სატელეკომუნიკაციო კომპანიებში მრავალწლიანი მუშაობის და ინოვაციების დანერგვის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. დღეისათვის კომპანია საქართველოში ერთერთი მოწინავეა. კომპანია დაკომპლექტებულია აიტი აკადემიის ბევრი მოქმედი თუ ყოფილი მსმენელებისაგან. კომპანიამ განაცხადა მზაობა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მემორანდუმით გათვალისწინებული სტუდენთა რაოდენობის მიღებაზე.

„უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ აღწერს კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო გარემოს და საფრთხის წარმოქმნის აღმოფხვრის მექანიზმებს. “კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმებს, გარდა სპეციფიკური მოდულებისა, რომელთა სწავლების თემატიკა უშუალოდ გულისხმობს უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.*
- *კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმები: (შპს „ბეტა“, შპს „სქაი ჰაი“, შპს „cloud9“);*
- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 მაისის N101 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“.*
- *გასაუბრების შედეგებით.*
- *http://www.itvet.ge/*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე- 16 მუხლით განსაზღვრულია სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც არეგულირებს შეფასებისა და დამატებითი შეფასების საკითხებს, ხოლო მე-17 მუხლით განსაზღვრულია შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები. ამავე წესის მე-10 მუხლი აღწერს შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების შენახვა/წარმოების საკითხებს. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, შეფასების სისტემის საკვანძო კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, მოიცავს შესაბამისი ინფორმაციის ასახვის ველებს.

დამატებითი შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი უფლებამოსილია შეცვალოს ინსტრუმენტით გათვალისწინებული დავალება დავალების სირთულის, შინაარსისა და მიმართულების უცვლელად დატოვების ფარგლებში.

რეგულაციის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, განმახორციელებლები პროგრამის ხელმძღვანელს ან/და იმავე მიმართულების სხვა მასწავლებელს უთანხმებენ შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.

,,ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხები, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებით სპეციალური ჩეკლისტების მეშვეობით შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის დადგენას.

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია (შემდგომში - ვერიფიკაცია) ხორციელდება შეფასების სისტემის დახვეწა/სრულყოფის, პროგრამების განვითარების, პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესების, შეფასების ინსტრუმენტის მომზადება/გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნებისთვის. ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების სისტემის შემდეგ კრიტერიუმებთან თავსებადობის დადგენას: სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ვერიფიკაციას ახორციელებს ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ვერიფიკაციის ქვეჯგუფი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით შემადგენლობაში არ შედის შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და ინსტრუმენტით მოსარგებლე შემფასებელი). ქვეჯგუფი შედგება კონკრეტული შემთხვევისთვის შერჩეული მინიმუმ ორი პირისგან, რომელთაგან ერთი აუცილებლად დარგის წარმომადგენელია, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული წევრი. ქვეჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება ჯგუფის სამუშაო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულ პერიოდში, სამიზნე პროგრამის/მოდულის/განმახორციელებლის მითითებით, წინასწარ შემუშავებული ჩეკლისტების საშუალებით. ვერიფიკაციის მიზნებისთვის გამოყენებული ჩეკლისტები იწარმოება და ინახება ელექტრონულად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან.

ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებული მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს - განმახორციელებელს უკუკავშირს. ვერიფიკაციის შედეგად ეტაპობრივად მოგროვებული ინფორმაცია სტატისტიკური სახით დაიტანება ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშში.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი მოიცავს ჩანაწერებს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების პროცედურების შესახებ,ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ჩანაწერები მოეყვანა შესაბამისობაში დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო გეგმებთან, შესაბამისად დაწესებულებამ დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N128 ბრძანებით ცვლილებები სეიტანა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რის მიხედვითაც დაზუსტდა მილევად რეჟიმში მიმდინარე პროგრამების და ახალი პროგრამების ფარგლებში განმეორებითი შედეგის დადასტურების პროცედურები, ასევე აპელაციის ვადები, რომლიც მოვიდა თანხვედრაში "კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების" პროგრამის სასწავლო გეგმასთან.

,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე- 10 მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესის თანმდევი დოკუმენტების წარმოება-შენახვის საკითხებს, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტებისა და სწავლის შედეგების შეფასების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების შენახვის ვალდებულებას 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების -უვადოდ. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-17 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის მიერ სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობის ვალდებულებას მათი კანონიერი უფლებების დაცვით გაცნობის ფორმას მიუთითებს შეფასების ინსტრუმენტის შესაბამის ველში. ამავე წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 მაისის N110 ბრძანებით დამტკიცებული ,, ხარისხის უზრუნველყოფის დებულება".*
- *კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრძანებით დამტკიცებული ,, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი".*
- *კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 28 ივლისს N 26 ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შემადგენლობაში ბრძანება N106- 19.05.2020)*
- *ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მიერ 2020 წლის 21 მაისისდისტანციური შეხვედრით -ოქმი N2 დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა.*
- *ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მიერ 2019 წლის 1 აპრილის შეხვედრის - ოქმი N2 დამატებითი შეფასების ინსტრუმენტისთვის დავალების შეცვლის პირობების შესახებ;*
- *http://www.itvet.ge/*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- *გასაუბრების შედეგებით;*

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

29.06.2020 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: